ხელშეკრულება №130
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი, 10 დეკემბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი სამმართველოს უფროსის ჯემალ ნაკაშიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE", (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის სალომე კიკვაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის გზით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საკანცელარიო საქონლის (კლასიფიკატორის კოდი CPV- 30197320; 30197110; 30199720; 30192121; 30192122; 30193800; 30192125; 30192160' 30192130; 30192133; 30197220; 30197210; 30192700; 30192110; 30197320; 30197120; 30197330 და 30125100) შესყიდვა.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 909,15 (ცხრაასცხრალარი და 15 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

2.3 შესყიდვის ობიექტის დასახელებები, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის (დანართი№1) მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

3.1. საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი ბათუმი დ.თავდადებულის 29.

3.2. საქონლის მიწოდება განხორციელედება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

4. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის და წუნდების მიზეზის მითითებით.

4.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის,) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

4.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სულხან თამაზაშვილი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სამეურნეო სფეროში ხელშეკრულებით დასაქმებული პირების კოორდინატორი.

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის ან/და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

8.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
გარემოს დაცვისა და ბუნებრივი
რესურსების სამმართველო
მის: ქ. ბათუმი, ვახტანგ გორგასალის 124.
საიდენტიფიკაციო კოდი 245444906
ხაზინის ერთიანი ანგარიში:
სახელმწიფო ხაზინა,
ბანკის კოდი: TRESGE22,
ა/ნ GE24NB0330100200165022
ჯემალ ნაკაშიძე
სამმართველოს უფროსი

მიმწოდებელი:
შ.პ.ს. „პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE"
მის: ბათუმი დ.თავდადებულის 29.
საიდენტიფიკაციო კოდი:
445427119
ს.ს. „პროკრედიტ ბანკი"
ბანკის კოდი: MIBGGE22
ანგარიშის №
GE13PC0193600100011836

სალომე კიკვაძე
დირექტორი

დანართი №1

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ზომის ერთეული	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1.	სტეპლერი-24/6	30197320	3	ცალი	4,60	13,80
2.	სტეპლერის ტყვია-№10	30197110	5	ცალი	0,30	1,50
3.	სტეპლერის ტყვია-№24/6	3019711	20	ცალი	0,40	8,00
4.	ქაღალდი შენიშვნებისთვის	30199720	20	შეკვრა	1,95	39,00
5.	ქაღალდი შენიშვნებისთვის(წებოვანი)	30199720	20	შეკვრა	4,00	80,00
6.	კალენდარი (მაგიდის)	30199720	5	შეკვრა	5,00	25,00
7.	ბურთულიანი კალამი (ლურჯი)	30192121	100	ცალი	0,40	40,00
8.	ბურთულიანი კალამი (შავი)	30192121	20	ცალი	0,25	5,00
9.	ბურთულიანი კალამი (წითელი)	30192121	10	ცალი	0,25	2,50
10.	მელნის კალამი (ლურჯი)	30192122	10	ცალი	0,70	7,00
11.	შეტყობინების დამჭერი (19მმ)	30193800	3	შეკვრა	0,80	2,40
12.	შეტყობინების დამჭერი (25მმ)	30193800	4	შეკვრა	1,20	4,80
13.	შეტყობინების დამჭერი (41მმ)	30193800	2	შეკვრა	2,70	5,40
14.	მარკერი	30192125	30	ცალი	0,80	24,00
15.	კორექტორი (ფუნჯით)	30192160	20	ცალი	1,00	20,00
16.	ფანქარი	30192130	20	ცალი	0,20	4,00
17.	ფანქრის სათლელი	30192133	5	ცალი	0,40	2,00
18.	სკრეპი-№3	30197220	4	შეკვრა	0,50	2,00
19.	სკრეპი-№5	30197220	6	შეკვრა	0,95	5,70
20.	რგოლიანი ბაინდერი	30197210	50	ცალი	2,90	145,00
21.	საკანცელარიო ნივთები (წებო-მშრალი)	30192700	6	ცალი	1,00	6,00
22.	საკანცელარიო ნივთები (წებო-თხევადი)	30192700	6	ცალი	0,60	3,60
23.	საკანცელარიო ნივთები ("სკოჩი"-დიდი)	30192700	3	ცალი	2,75	8,25
24.	საკანცელარიო ნივთები ("სკოჩი"-პატარა)	30192700	5	ცალი	0,20	1,00
25.	საკანცელარიო ნივთები ("სკოჩი"-ორმაგი)	30192700	1	ცალი	1,50	1,50
26.	საკანცელარიო ნივთები (დანა)	30192700	5	ცალი	2,00	10,00
27.	მელანი (ბეჭდის)	30192110	2	ცალი	0,80	1,60
28.	ანტისტეპლერი	30197320	5	ცალი	1,20	6,00
29.	ჭიკარტი	30197120	4	ცალი	0,90	3,60
30.	სახვრეტელა	30197330	1	ცალი	10,50	10,50
31.	კარტრიჯი	30125100	15	ცალი	28,00	420,00
სულ ჯამი:						909,15

სამმართველოს უფროსი ჯემალ ნაკაშიძე

შპს"პროვაიდერ.ჯი"-ს დირექტორი სალომე კიკვაძე

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 10 დეკემბერი, 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსა და შ.პ.ს. „შპს პროვაიდერ.ჯი PROVIDER.GE"-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №130 (10/12/2018წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსი
/ ჯემალ ნაკაშიძე /

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოს დაცვისა და
ბუნებრივი რესურსების სამმართველოს სამეურნეო
სფეროში ხელშეკრულებით დასაქმებული
პირების კოორდინატორი

/ სულხან თამაზაშვილი /